საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ქსოვრელის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	21	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	81	100

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ირაკლი ქსოვრელის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ირაკლი ქსოვრელი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს"

მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი: **ირაკლი ქსოვრელი**

ასაკი: **31 წლის**

დაბადების თარიღი: **11 სექტემბერი, 1989წ.**

განათლება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, ბაკალავრი, დოქტორანტი; ლუნდის უნივერსიტეტი - მაგისტრი**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **9 წელი**

სამუშაო ადგილი: **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსი**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, ირაკლი ქსოვრელის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელით - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი

შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.;

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე, გამოარჩევენ კანდიდატის მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობას, კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, თავშეკავებულობას, სამართლიანობას, მედეგობას, კვალიფიციურობას და ა.შ. რეკომენდატორებიდან ერთი, უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე, კერძოდ მისი მოსაზრებით, „კანდიდატი საკმაოდ რთულად იცვლის პოზიციას სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. საწინააღმდეგო პროფესიული არგუმენტების შესაძლო სიმრავლის მიუხედავად, როგორც წესი, მაინც საკუთარ პოზიციაზე რჩება“.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

- ირაკლი ქსოვრელს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 125-ე მუხლის 7^1 ნაწილი („შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა“; ჯარიმა - 50 ლარი; 1 შემთხვევა; ჯარიმა გადახდილია დროულად (ვიდეოჯარიმა) / შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის 7^2 ნაწილი („ასკ 125-ე მუხლის 7^1 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში - ჯარიმა 100 ლარი; 1 შემთხვევა, გადახდილია დროულად (ვიდეო ჯარიმა) / შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 118^2 მუხლი („მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა“, გაფრთხილება; 1 შემთხვევა).

ზემოაღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრების დროს კანდიდატის მიერ გაცემული პასუხებიდან გამომდინარე, იგი აზრის გამოხატვის პროცესში არის ღია და გახსნილი, თუ გავითვალისწინებთ რეკომენდატორების მოსაზრებებს, არის პრინციპული და შეუვალი, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის მიმართი დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, ირაკლი ქსოვრელის მიმართ ინფორმაცია არ მოიპოვება.

- სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მონაწილეობდა სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ, დავის საგანი - იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შედეგი: გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 09 ივლისის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი.

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატს ეთიკისა და ქცევის წესები არ დაურღვევია, იყო კორექტული, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ავტორიტეტი იურიდიულ

წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი აღნიშნავენ კანდიდატის მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობას, კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, თავშეკავებულობას, სამართლიანობას, მედეგობას, კვალიფიციურობას და ა.შ. რეკომენდატორებიდან ერთი უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე, კერძოდ, „კანდიდატი საკმაოდ რთულად იცვლის პოზიციას სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. საწინააღმდეგო პროფესიული არგუმენტების შესაძლო სიმრავლის მიუხედავად, როგორც წესი, მაინც საკუთარ პოზიციაზე რჩება". აღნიშნული შეფასება მიუთითებს, რომ კანდიდატს ახასიათებს განსხვავებული მოსაზრების მიუღებლობა, თუმცა, ვთვლი, რომ ეს თვისება ვერ იმოქმედებს კანდიდატის კეთილსინდისიერების მახასიათებელზე.

აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლინდა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის პატიოსნება და მიუკერძოებლობა, ამდენად ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმით</u> მოსამართლეობის კანდიდატის, ირაკლი ქსოვრელის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. სამართლის ნორმების ცოდნა;
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
4. პროფესიული თვისებები;
5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
6. პროფესიული აქტივობა.

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატს აქვს სამართლის თეორიული საფუძვლების სიღრმისეული ცოდნა, მათ შორის, საკმაოდ ღრმად იცნობს საკონსტიტუციო სამართლის თეორიულ საფუძვლებს, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, ასევე კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, თუმცა, სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაში კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები ხშირ შემთხვევაში მოკლებული იყო საკითხის ღრმა ცოდნას, კანდიდატი არ იცნობს საერთო სასამართლოების პრაქტიკას და თეორიული საფუძვლების ცოდნის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად უჭირს საკითხის პრაქტიკულად გააზრება.

გასაუბრების ეტაპზე, კანდიდატმა სიღრმისეულად, მათ შორის, სხვა ქვეყნების გამოცდილებასა და პრაქტიკაზე მითითებით ისაუბრა გამოხატვის თავისუფლების საკითხზე, ახსნა ე.წ. „მყისიერი საფრთხის ტესტი" და ამავე საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოდ წარმოაჩინა საკუთარი ხედვები.

კანდიდატმა ამომწურავად ისაუბრა ინკვიზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე (ელემენტებზე); საინტერესო და სიღრმისეული იყო კანდიდატის მსჯელობა უდანაშაულობის პრეზუმპციაზე, როგორც საპროცესო გარანტიაზე. კანდიდატმა აღნიშნული საკითხი განიხილა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ჭრილში. ასევე ისაუბრა საჯარო სამსახურის საბჭოზე, მის შემადგენლობასა და შექმნის წესზე.

კანდიდატმა გამოთქვა მოსაზრება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო პალატების გაერთიანების საჭიროებაზე, რაც მაძლევს საფუძველს დასკვნისათვის, რომ კანდიდატს სიღრმისეულად არა აქვს გააზრებული სამართლის ამ ორ დარგს შორის პრინციპების დონეზე არსებული განსხვავებულობა. ადმინისტრაციულ პროცესში დისპოზიციურობის საკითხის განხილვისას, მართალია, კანდიდატი ლოგიკური მსჯელობით მიდის სწორ დასკვნამდე, რაც მისასალმებელია და მიუთითებს კანდიდატის ლოგიკური აზროვნების უნარზე, თუმცა პასუხიდან ვლინდება, რომ კანდიდატს არა აქვს საპროცესო ნორმების სიღრმისეული ცოდნა. კანდიდატმა ვრცლად და ფართოდ ისაუბრა სამართლიან და კანონიერ გადაწყვეტილებას შორის არჩევანთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე, თუმცა მისი პასუხი საბოლოოდ დარჩა ბუნდოვანი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო **- 21 ქულით.**

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

კანდიდატს იურიდიულ სფეროში მუშაობის 9 წლიანი გამოცდილება გააჩნია.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილია სამართლებრივი ნაშრომი, თემაზე - საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის

ეფექტური საშუალება (Application of The Constitutional Rights by the Common Courts-Effective Remedy for Human Rights Protection).

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი და გასაუბების ეტაპზე კანდიდატზე დაკვირვება, მაძლევს საფუძველს დასკვნისათვის, რომ კანდიდატი აზრს ავითარებს ლოგიკურად, დასაბუთებისას ეყრდნობა ზოგად საკითხებს და იშვიათად, პრაქტიკულ სამართლებრივ ასპექტებს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **20 ქულით.**

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

კანდიდატს აქვს წერისა და ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, თუმცა, სასურველი იქნებოდა აზრის უფრო ლაკონურად გამოხატვა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **17 ქულით.**

4. პროფესიული თვისებების მახასიათებელი

შემოწმებული მასალების საფუძველზე და კანდიდატის განმარტებებზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ ირაკლი ქსოვრელი არის შრომისმოყვარე, აქვს დამოუკიდებლად აზროვნების კარგი უნარი, თუმცა, მისივე რეკომენდატორის მითითებით, უჭირს განსხვავებული აზრის მიღება, რაც ნაკლებსასურველია სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **13 ქულით.**

5. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

იგი ასევე ესწრება სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ ლექცია/სემინარებს, თუმცა სხვა კანდიდატებთან შედარებით, შეინიშნება ამგვარი აქტივობის სიმცირე.
არის ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

2013-2015 წლებში კანდიდატმა მოიპოვა შვედეთის ინსტიტუტის ვიზბის პროგრამის სტიპენდია სამაგისტრო სწავლებისათვის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **7 ქულით.**

6. პროფესიული აქტივობა

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს 1 სტატია.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **3** ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ 81 ქულით

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.